შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# პროფესიული უნარების ტესტი

## IV ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 44 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასო - a.

## ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

*არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.*


1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 1

სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. დაგეგმვის პროცესის შემსუბუქებისა და მისი ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, რეკომენდებულია მასწავლებელთა ერთობლივი მუშაობა.

ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში/შემთხვევებში არის ეფექტიანი ჯგუფური დაგეგმვა?

I. სხვადასხვა საფეხურის პედაგოგების მიერ საერთო სასკოლო საგნობრივი გეგმის შემუშავების დროს.
II. ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა საგნის სწავლების გეგმის შემუშავების დროს.
III. სასწავლო გეგმაზე ერთი და იმავე საფეხურის პედაგოგების ერთობლივი მუშაობის დროს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 2

„გონებრივი იერიშის“ გამოყენება მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებასა და სასწავლო პროცესისადმი ინტერესის გაღვივებას უწყობს ხელს. სწორედ ამის გამო მასწავლებლები „გონებრივ იერიშს“ ხშირად იყენებენ.

ჩამოთვლილთაგან რომელია „გონებრივი იერიშის“ შესახებ ადეკვატური მსჯელობა/მსჯელობები?

I. „გონებრივი იერიშის“ გამოყენების დროს დასმული პრობლემური შეკითხვა მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნებისაკენ უბიძგებს.

II. „გონებრივი იერიში“ ეხმარება მასწავლებელს, დამაზუსტებელი შეკითხვებით მოსწავლე მიიყვანოს სწორ პასუხამდე.

III. „გონებრივი იერიშის“ გამოყენებით მასწავლებელი აჩვევს მოსწავლეებს იდეების ლაკონიურად ჩამოყალიბებას.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 3**

ბრაზი არის ერთ-ერთი ყველაზე რთულად სამართავი ემოცია, რომელთან გამკლავებაც განსაკუთრებით უჭირთ ბავშვებს. მასწავლებელს შეუძლია გარკვეული დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს საკუთარი ემოციების, კონკრეტულად კი, ბრაზის მართვაში.

მასწავლებლის რომელი სტრატეგია დაეხმარება მოსწავლეს საკუთარი ემოციის - ბრაზის მართვაში?

I. დაარწმუნოს მოსწავლე, რომ თავი შეიკავოს და არ გამოამჟღავნოს გაბრაზება, რათა პოზიტიური ურთიერთობა შეინარჩუნოს იმ ადამიანთან, ვიზეც ბრაზობს.

II. სთხოვოს მოსწავლეს, დაფიქრდეს, თუ რომელი სიტუაცია და/ან ადამიანები იწვევენ მის გაბრაზებას, რათა წინასწარ მოემზადოს და მოძებნოს მათზე რეაგირების უფრო კონსტრუქციული გზა.

III. აუხსნას, რომ ძლიერი გაბრაზების შემთხვევაში, უმჯობესია, ცოტა ხნით მოსცილდეს ბრაზის გამომწვევ სიტუაციას. ეს მას დამშვიდებისა და გონივრულად მოქმედების საშუალებას მისცემს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 4

ჩამოთვლილთაგან რომელია განმავითარებელი შეფასების მიზანი/მიზნები?

I. მოსწავლეების სწავლისა და სწავლების შედეგების შემოწმება, მათი მიღწევების ინდივიდუალური დონის განსაზღვრა.

II. მოსწავლეების დახმარება საკუთარი სწავლის პროცესის გაცნობიერებაში, უნარების დახვეწაში, პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებაში.

III. მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ეფექტიანი დაგეგმვა და სწავლების ოპტიმალური ტემპის განსაზღვრა.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 5**

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დიუის „კეთებით სწავლის“ გამოყენების დროს?

I. მთავარია, მასწავლებელი სწავლების პროცესში ეყრდნობოდეს უახლეს ტექნოლოგიებს და არა თანამედროვე ცხოვრებისათვის მოძველებულ ცოდნას.

II. ახალი გამოცდილება უნდა დაშენდეს ძველზე. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თავისი მოსწავლეების ადრინდელი გამოცდილების შესახებ.

III. მასწავლებელმა ხშირად უნდა მოაწყოს პრაქტიკული გაკვეთილები, დამოუკიდებელი სამუშაოები, რომლებიც აგებული იქნება მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

დავალება N6




*„ზოგჯერ, როცა ბავშვები ბურთს თამაშობენ, ჩარლის შუაში ჩადგომის ნებას რთავენ და ის ცდილობს, ვინმეს ბურთის დაჭერა დაასწროს. მოსწონს შუაში დგომა - მერე რა, რომ ბურთს ვერასოდეს ვერ იჭერს. ერთხელ, როცა ჰაიმი როტს ბურთი შემთხვევით გაუვარდა და ჩარლიმ დაიჭირა, ბავშვებმა სროლის ნებაც კი არ დართეს და ისევ შუაში ჩააყენეს“.*

(„ყვავილები ელჯერნონისთვის“

დენიელ კიზი)

ციტატაში წარმოდგენილი პრობლემის მსგავსი გვხვდება არაერთ სკოლაში, რაიმე ნიშნით განსხვავებულ მოსწავლეებს ხშირად უჭირთ კლასთან ინტეგრირება.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი ასეთ მოსწავლეს სოციალურ ინტეგრაციაში?

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

I. მისცეს კლასს ისეთი დავალებები, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებს გულისხმობს - მაგ. რაიმე ნივთის გადაწოდება ვინმესთვის ან პირიქით - მისი მიღება.

II. თამაშის დროს მასწავლებელმა მოსწავლეს შეურჩიოს პარტნიორი, დააწყვილოს ის აქტიურ, მეგობრულ და კომუნიკაბელურ ბავშვთან.

III. არ გაამახვილოს ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლებიც მოსწავლის განსხვავებულობის გამო იქმნება, აქცენტი გადაიტანოს უშუალოდ აქტივობაზე.

ა) მხოლოდ I და II; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ III.

**დავალება 7**

გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვის დროს რომელი პირობის გათვალისწინება **არ არის** აუცილებელი?

ა) მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მხოლოდ ერთი კომპეტენცია და დაგეგმოს მისი სრულყოფილი განვითარება.

ბ) მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს, თუ რომელი კომპეტენცია აქვთ განვითარებული მოსწავლეებს და რა დონეზე.

გ) მასწავლებელმა გაკვეთილის იდეა უნდა ჩამოაყალიბოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტის ჩარჩოში.

დ) მასწავლებელმა თავად უნდა მოიძიოს გაკვეთილის გეგმის კომპონენტების შესაბამისი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი.

**დავალება 8**

ჩამოთვლილთაგან **ყველაზე უკეთ** რომელი სტრატეგიის/სტრატეგიების გამოყენებით წაახალისებს მასწავლებელი დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მიერ დავალების შესრულების დროს **ეგოცენტრული მეტყველების** გათავისებასა და დარეგულირებას?

I. სთხოვოს მოსწავლეს, ხმამაღლა იმსჯელოს რთულ დავალებებზე მუშაობის დროს, რათა გაუადვილდეს მათი შესრულება.

II. დაავალოს მოსწავლეს, გონებაში ჩამოაყალიბოს ამოცანის გადაჭრის თანმიმდევრობა, რათა განუვითარდეს თვითრეგულაციის უნარი.

III. დაავალოს მოსწავლეს, იმუშაოს ინდივიდუალურად, რათა განუვითარდეს პრობლემის გადაჭრის უნარი.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 9

დიფერენცირებული სწავლების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენაში, მათ განვითარებაში.

ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი ასახავს დიფერენცირებული სწავლების უპირატესობას?

ა) დიფერენცირებული სწავლების დროს მასწავლებელმა კარგად იცის მოსწავლის შესაძლებლობები და, შესაბამისად, სწავლებაზე ნაკლები დრო ეხარჯება.

ბ) დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეებს აქვთ თავისუფლება, თავად აირჩიონ საკითხი, მასალა, სწავლების ადგილი და გამოკითხვის ფორმა.

გ) დიფერენცირებული სწავლების დროს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები ერთმანეთს ადარებენ საკუთარს და არა ძლიერი მოსწავლეების შედეგებს.

დ) დიფერენცირებული სწავლების დროს ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე ახერხებს საკუთარი უნარების რეალიზებას, რაც ზრდის მის თვითეფექტიანობას.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 10**

ზეპირი გამოკითხვის პროცესში მოსწავლეების ჩართულობაზე **უარყოფითად** მოქმედებს, როდესაც მასწავლებელი:

ა) კითხვებს უსვამს იმ მოსწავლეებს, რომლებიც პასუხის გასაცემად ინიციატივას იჩენენ.

ბ) არასწორი პასუხის შემთხვევაში უფრო მარტივი ფორმით სვამს იმავე შეკითხვას.

გ) ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის შეკითხვას სვამს.

დ) კითხვებს აგებს მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 11

პიაჟეს თეორიის თანახმად, რომელი დავალების შესრულება **გაუჭირდება** მოსწავლეს კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე?

ა) დავალების, რომელიც საგნებით მანიპულაციას საჭიროებს.

ბ) დავალების, რომელიც საგანზე/მოვლენაზე დაკვირვებას საჭიროებს.

გ) დავალების, რომელიც საგანთა/მოვლენათა კლასიფიკაციას მოითხოვს.

დ) დავალების, რომელიც ალტერნატიული მოსაზრებების შეფასებას მოითხოვს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 12**

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება აღწერს კონსტრუქტივისტულ სწავლებას?

I. მოსწავლეს მასალა მიეწოდება დეტალურად და სტრუქტურირებულად.

II. მოსწავლეს შეუძლია, ეჭვი შეიტანოს მიღებულ ინფორმაციაში.

III. მოსწავლეს თავად უწევს პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

**დავალება 13**

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება **ვერ უზრუნველყოფს** მოსწავლის მიერ ქცევის წესების დაცვას?

ა) მოსწავლის ქცევაზე მყისიერი რეაგირება, რომელიც შეიძლება აღიქმებოდეს როგორც სასჯელი, მაგრამ აუცილებლად ადეკვატური და სამართლიანი.

ბ) განსხვავებული მიდგომა და, შესაბამისად, განსხვავებული სასჯელი სხვადასხვა მოსწავლის მიერ გამოვლენილ ერთსა და იმავე დარღვევაზე.

გ) მსუბუქი დარღვევის შესამცირებლად წახალისების სტრატეგიის გამოყენება – ნაცვლად მოსწავლის დასჯისა, იმ მოსწავლის წახალისება, რომლის ქცევაც მისაბაძია.

დ) არასასურველი ქცევის შესამცირებლად მოსწავლის ჯერ გაფრთხილება, შემდეგ მისთვის შენიშვნის მიცემა და ბოლოს სასჯელის გამოყენება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 14**

როჯერსის თეორიის მიხედვით, მასწავლებელი უნდა იყოს ფასილიტატორი, რაც ნიშნავს, რომ:

ა) მასწავლებლის ფუნქციაა მოსწავლეებისათვის ისეთი მასალის მიწოდება, რომელიც მათ სამყაროს შემეცნებაში დაეხმარება.

ბ) მასწავლებლის მოვალეობაა მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი და მათი გაუმჯობესების მიზნით გარეგანი მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების გამოყენება.

გ) მასწავლებლის მთავარი ფუნქციაა მოსწავლეებისათვის დამოუკიდებელი სწავლის ხელშემწყობი ატმოსფეროს შექმნა.

დ) მასწავლებლის ძირითადი საქმიანობაა მოსწავლეთათვის ცოდნის გადაცემა, საზოგადოებისათვის მისაღები შეხედულებების ჩამოყალიბება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 15**

ქვემოთ წარმოდგენილია მასწავლებელთა სხვადასხვა დამოკიდებულება შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან მიმართებით. ჩამოთვლილთაგან რომელი მასწავლებლის დამოკიდებულებაა **ყველაზე მართებული**?

ა) „ვცდილობ, რომ ჩემს მოსწავლეებს ისეთი დავალებები მივცე, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა გზით ამოხსნან და ამოხსნის განსხვავებული მეთოდის შემოთავაზებისათვის ვუწერ მაღალ ქულას“.

ბ) „ჩემს კლასში არ არიან განსაკუთრებული უნარების მქონე მოსწავლეები და არ მინდა დრო დავკარგო, ამიტომ არ ვიყენებ შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელ სტრატეგიებს“.

გ) „მესმის, რომ შემოქმედებითი აზროვნება მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ვიყენებ სტრატეგიებს მისი განვითარებისათვის, თუმცა, ამით რაიმე ღირებულ შედეგს ვერ ვიღებ“.

დ) „მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნება ბუნებრივი პროცესია, ამიტომ მასწავლებლის მიერ მკაცრად დაგეგმილი კონკრეტული აქტივობები ზღუდავს მის განვითარებას“.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 16**

სწავლა-სწავლების პროცესისათვის დამახასიათებელ რომელ პრობლემას უწოდებს უზნაძე „აღზრდის ტრაგედიას“?

I. მასწავლებელი არ ზრუნავს მოსწავლეების აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ორიენტირებულია მხოლოდ მათ მომავალზე.

II. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მხოლოდ მათი ასაკისათვის შესაფერის მასალას და არ ცდილობს მათი განვითარების სტიმულირებას.

III. მასწავლებელი ზოგიერთი მოსწავლის მიმართ ტენდენციურ დამოკიდებულებას ავლენს — ჰყავს მოსწავლეები, რომელთაც კლასში ყველასგან გამოარჩევს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 17**

ფიზიკის მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი ახსნა და მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული ცდების ჩატარება და კლასისთვის შედეგების წარდგენა დაავალა.

მოცემულ სიტუაციაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** კლასში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას?

ა) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, იმუშაონ დამოუკიდებლად და გამოიყენონ ყველა ის რესურსი, რომლებიც მითითებულია სახელმძღვანელოში.

ბ) მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, შეიმუშაონ კლასისთვის შედეგების წარდგენის საერთო გეგმა და ფორმატი. ასევე, დამოუკიდებლად განსაზღვრონ დავალების შესრულებისათვის საჭირო დრო.

გ) მასწავლებელი მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს ავალებს ცდის ჩატარებას და დემონსტრირებას, რათა დანარჩენ მოსწავლეებს გაუადვილდეთ დავალების შესრულება.

დ) მასწავლებელი განსაზღვრავს დავალების შესასრულებლად საჭირო დროს და ერთ-ერთ მოსწავლეს ავალებს პროცესის მონიტორინგს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

*შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 18**

B სვეტში მოცემულია როჯერსის მიერ  გამოყოფილი სწავლის სახეები, A სვეტში კი წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| აღწერა (A) | სწავლის სახე (B) |
|---|---|
| I. მოსწავლეს აინტერესებს, ნამდვილად არის თუ არა შესაძლებელი წყლის წვეთით ცეცხლის ანთება. მასწავლებელი მას ექსპერიმენტს ატარებინებს. | ა) კოგნიტური<br>ბ) გამოცდილებაზე დაფუძნებული |
| II. მოსწავლე ხშირად იგვიანებს გაკვეთილზე, მასწავლებელი მას ურჩევს, დაინიშნოს დრო, რამდენი წუთი დასჭირდება სახლიდან სკოლამდე. | |
| III. მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, დამოუკიდებლად გაარჩიონ ახალი ტექსტი. ერთ-ერთი მოსწავლე ლექსიკონის გამოყენებით კითხულობს მას და აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს. | |

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 19**

ცხრილის A სვეტში წარმოდგენილია მასწავლებლის ქმედება, ხოლო B სვეტში სხვადასხვა თეორიული მიდგომა. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| ქმედება (A) | თეორია (B) |
|---|---|
| I. მასწავლებელი რთული დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს აძლევს კონკრეტულ მითითებებს და ეუბნება, რომ თუ გაუჭირდებათ, შეუძლიათ დასახმარებლად მშობლებსაც მიმართონ. | ა) სოციალური დასწავლის<br>ბ) ჰუმანისტური<br>გ) სოციალურ - კულტურული<br>დ) ბიჰევიორისტული |
| II. მასწავლებელი, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით, წახალისების სხვადასხვა ფორმას შეიმუშავებს. | |
| III. მასწავლებელი, იმისათვის, რომ მოსწავლეებს საკუთარი თავის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეთ, მათ თავიანთი შესაძლებლობების შესაბამის დავალებებს აძლევს. | |

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება N20**

სწავლების თანამედროვე მიდგომები კარგ შესაძლებლობას გვიქმნის, რომ  კლასში არსებული კულტურული მრავალფეროვნება რესურსად გამოვიყენოთ. ცხრილის  A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა, ხოლო B სვეტში ის მიდგომები, რომლებიც სწავლების პროცესში მულტიკულტურული განათლების შეტანას ემსახურება. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

| აქტივობა (A) | მიდგომა (B) |
|---|---|
| I. მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ყველა სახის ინფორმაციას – სხვადასხვა კულტურასთან დაკავშირებული რაიმე ფაქტის ან მოვლენის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგების შესახებ. მას მიაჩნია, რომ ამ ინფორმაციის გაანალიზება მათ მრავალმხრივ ხედვას განუვითარებს. | |

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

| | | |
|---|---|---|
| II. | მასწავლებელი კლასში ხშირად აწყობს სხვადასხვა რელიგიისა თუ კულტურის წარმომადგენელი გმირების ან მწერლებისადმი მიძღვნილ საღამოებს; აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას განსხვავებული კულტურის შესახებ. | ა) დამატებითი მიდგომა<br>ბ) კონტრიბუციული მიდგომა<br>გ) ტრანსფორმაციული მიდგომა |
| III. | მასწავლებელი ფაქტების ანალიზისა და შეფასების ან როლური თამაშების გამოყენებით, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად შეხედონ საკითხს სხვადასხვა კულტურის პერსპექტივიდან, რაც მათ ჯანსაღ ღირებულებებს ჩამოუყალიბებს. | |
| IV. | მასწავლებელი ცდილობს, სასწავლო პროცესში რაიმე თემის განხილვის დროს მოსწავლეებს მიაწოდოს სხვადასხვა რელიგიისა თუ კულტურის შესახებ არსებული მრავალმხრივი ინფორმაციაც. | |

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

*თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 21**

*მაქსიმალური ქულა - 4*

თვითგანვითარებაზე ზრუნვა მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა. პროფესიული თვითგანვითარების გზაზე პირველ ნაბიჯს საკუთარი საჭიროებების დადგენა წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად მოსწავლეთა შეფასების შედეგების ანალიზსაც იყენებენ, თუმცა ამ პროცესში უფრო მნიშვნელოვანია, მასწავლებელს განუვითარდეს ობიექტური თვითშეფასება.

– აღწერეთ მასწავლებლის თვითშეფასების ორი ინსტრუმენტი.

– განმარტეთ, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ დასახელებული ინსტრუმენტების გამოყენება მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 22

*მაქსიმალური ქულა - 3*




მასწავლებელმა მოსწავლეებს ახლადახსნილი ფორმულის გამოყენებით მაგალითების ამოხსნა დაავალა. მოსწავლეებს სავარჯიშოების შესრულება გაუჭირდათ, ამიტომ მასწავლებელმა მათ რთული ალგებრული ფორმულა გრაფიკული თვალსაჩინოების გამოყენებით აუხსნა.

ამის შემდეგ მოსწავლეებმა შეძლეს სავარჯიშოების ამოხსნა.

სწავლების კონსტრუქტივისტულ თეორიაზე დაყრდნობით გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია. დავალება შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით.

– განმარტეთ იმ მეთოდის არსი, რომელიც გამოიყენა მასწავლებელმა აღწერილ სიტუაციაში.
– ახსენით, რამ განაპირობა მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობის ეფექტიანობა.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალებები 23-27 შემდეგ პირობას ეყრდნობა:**

ინტერნეტსივრცეში პედაგოგებმა განათლების სფეროს სიახლეების გასაცნობად შექმნეს ღია ჯგუფი. ჯგუფმა პოპულარობა მოიპოვა მშობლებსა და უფროსკლასელ მოსწავლეებს შორისაც – გაჩნდა შესაძლებლობა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა არა მხოლოდ მიიღოს საჭირო ინფორმაცია, არამედ სხვებსაც გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და გამოცდილება, დასვას შეკითხვები.

ქვემოთ წარმოდგენილია სოციალურ ქსელში განთავსებული რამდენიმე წერილი. ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ თითოეულ წერილში აღწერილი პრობლემის არსი.

**თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს დავალებაში წარმოდგენილი პრობლემის არსს.**

თითოეული დავალება (23-27) შეასრულეთ იმ კითხვის/მითითების მიხედვით, რომელიც დავალებას თან ახლავს და **პასუხი დაასაბუთეთ.**

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

| დავალება N23 | *მაქსიმალური ქულა - 3* |
|---|---|

მეტაკოგნიცია

მანანა მანჯავიძე



ჩემს შვილს ჩემი მეთვალყურეობის გარეშე არ შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა. რა გზას აღარ მივმართავ, რომ დროულად დაიწყოს და დაასრულოს მეცადინეობა. რამდენჯერმე მივეცი დამოუკიდებლად სწავლის საშუალება, მაგრამ ხან ღამეების თენება დასჭირდა, ხანაც ზედაპირულად ჰქონდა გაკვეთილი ნასწავლი.

მირჩიეთ, როგორ მივაჩვიო ჩემი შვილი, რომ დამოუკიდებლად მართოს საკუთარი სწავლის პროცესი.

მომწონს ☐ კომენტარი გაზიარება

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება N24

*მაქსიმალური ქულა - 3*

### პრეზენტაცია



სალომე აბაშიძე

მასწავლებლები პრეზენტაციის მომზადებას ხშირად გვთხოვენ. მომწონს პრეზენტაციისათვის მასალების მოძიება და ტექსტების გაფორმება. ასეთ დავალებებს ხალისით ვასრულებ, მაგრამ მაღალ ქულას ვერ ვიღებ.

იქნებ მირჩიოთ, რა აუცილებელი პირობა უნდა გავითვალისწინო იმისათვის, რომ უკეთესი პრეზენტაცია მოვამზადო?

მომწონს ☐ კომენტარი გაზიარება

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

დავალება N25 *მაქსიმალური ქულა - 3*

ციფრული რესურსი



ნანა ბუაჩიძე

ვიცი, რომ ჩვენს სკოლაში ციფრული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლებისათვისაც, თუმცა, მასწავლებლები მას ნაკლებად იყენებენ სასწავლო პროცესში. დღეს მედიაწიგნიერება მნიშვნელოვანია, აუცილებელი ხდება მოსწავლეებში მულტიმედიის გამოყენებისა და შექმნის უნარების განვითარება.

იქნებ აუხსნათ მასწავლებლებს, რა დადებითი მხარე აქვს ციფრული რესურსის გამოყენებას სასწავლო პროცესში.

მომწონს ☐ კომენტარი გაზიარება

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება N26 *მაქსიმალური ქულა - 3*

საკუთარი თავის რწმენა

სანდრო დიასამიძე



ხშირად მესმის ჩემი კოლეგებისგან, რომ ნიჭიერებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს საკუთარი თავის რწმენა. მოსწავლეები, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა აქვთ, არა მხოლოდ უკეთ სწავლობენ, არამედ კარგადაც იქცევიან.

იქნებ ამიხსნათ, რა სტრატეგია უნდა გამოვიყენო, რომ მოსწავლე უფრო თავდაჯერებული გახდეს.

მომწონს ☐ კომენტარი გაზიარება

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.***

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

დავალება N27 *მაქსიმალური ქულა - 3*

**მშობელთან ურთიერთობა**

თამარ ბაინდურაშვილი



ჩემი შვილის მასწავლებელი ძალიან ყურადღებიანია, სულ მირეკავს და მატყობინებს ბავშვის პრობლემებს, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის ვიძაბები მისი ზარის გაგონებაზე, ვხვდები, რომ ჩემს შვილზე რაღაც ცუდი უნდა მითხრას, ამიტომ მიჭირს მასთან ურთიერთობა.

რა რეკომენდაციას მისცემდით მასწავლებელს, რომელსაც უნდა, რომ მშობელთან ეფექტიანი ურთიერთობა დაამყაროს?

მომწონს ☐ კომენტარი გაზიარება

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ღია დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

*დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 28**

*მაქსიმალური ქულა - 1*

ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესაბამისად კოლბერგი გამოყოფს მორალური განვითარების სამ დონეს: პრეკონვენციურს, კონვენციურსა და პოსტკონვენციურს. თითოეული დონე კიდევ რამდენიმე საფეხურს მოიცავს.

მორალური განვითარების ერთ-ერთი დონის მეორე საფეხურზე, რომელსაც პირობითად ***„კანონსა და წესრიგს“*** უწოდებენ, ბავშვს მიაჩნია, რომ კარგი და სწორი ქცევა ავტორიტეტის პატივისცემა, მოვალეობის შესრულება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა.

– დაასახელეთ, მორალური განვითარების რომელ დონეს მიეკუთვნება მოცემული საფეხური.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

*არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 29**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა არის გაკვეთილის **რეფლექსიის ფაზის** შესაბამისი?

ა) კონკრეტული აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, განიხილონ საკუთარი მიგნებები და ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები, რომლებიც საკითხთან მიმართებით ჩამოუყალიბდათ.

ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს რთულ დავალებას აძლევს და მიანიშნებს, რომ განვლილ მასალას თუ გაიხსენებენ, პრობლემის გადაჭრის გზას ადვილად მიაგნებენ. ჯგუფი იწყებს მუშაობას. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს და განიხილავენ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზას.

გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უცნობ ტექსტს და სხვადასხვა ტიპის ლექსიკონს. ავალებს მათ ტექსტის წაკითხვას, უცხო სიტყვებისა თუ გამონათქვამების მოძიებას შესაბამის ლექსიკონში და განმარტებების ამოწერას.

დ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განიხილონ დასრულებული აქტივობა. გამოხატონ საკუთარი მოსაზრება, ჯგუფთან ერთად ან დამოუკიდებლად შეაფასონ რა იყო რთული, რა - მარტივი. თავადაც ეხმარება, უსვამს კითხვებს და პროცესს ისე წარმართავს, რომ მათ გაუადვილოს ძირითადი ცნებების, კონცეფციების გაგება.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 30

შეფასება ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგში, სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და ორგანიზებაში. კვლევებმა ცხადყო, რომ შეფასებას მოსწავლეთა მოტივაციის ხელშეწყობაც შეუძლია.

მასწავლებლის მიერ რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინება შეუწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებას?

I. შეადგინეთ რეიტინგული სია მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით და გააცანით შედეგები მოსწავლეებს.

II. ნუ შემოიფარგლებით ნიშნით. შეცდომით შესრულებულ სამუშაოს დაურთეთ კომენტარები.

III. მიეცით მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომების შეფასებისა და დაშვებული შეცდომების გაანალიზების საშუალება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 31

სწავლა შეიძლება სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. მასწავლებელმა უნდა დაადგინოს, რა მოტივები უდევს საფუძვლად მოსწავლის სწავლას და შეიმუშაოს სასწავლო პროცესში მისი ჩართვის ადეკვატური სტრატეგიები.

მასლოუს იერარქიული მოდელის მიხედვით, რომელ შემთხვევაში განაპირობებს სწავლას თვითრეალიზაციის მოტივი?

მოსწავლე სწავლობს კარგად და მონდომებით:

ა) რადგან სურს, გაიგოს მეტი საკითხთან დაკავშირებით და იყოს უფრო კომპეტენტური.

ბ) რადგან სურს, გარშემომყოფთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს.

გ) რათა მიიღოს კარგი ნიშნები და გაამართლოს მასწავლებლის მოლოდინი.

დ) რათა შედეგებით გაუთანაბრდეს თავის ძლიერ თანაკლასელებს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 32**

ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპის/პრინციპების დაცვაა აუცილებელი იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ საშინაო დავალების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება?

I. მასწავლებელმა საშინაო დავალება დროულად უნდა გაასწოროს და დაურთოს განმავითარებელი კომენტარი.
II. მასწავლებელმა საშინაო დავალების მოცულობა მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს.
III. მასწავლებელმა ყოველ გაკვეთილზე უნდა აღნუსხოს, აქვთ თუ არა მოსწავლეებს საშინაო დავალება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

## დავალება 33

სწავლების პროცესში შეფასების სხვადასხვა მეთოდს იყენებენ, მათ შორის – ტესტს. ტესტური დავალებების ორი ძირითადი სახე არსებობს – ღია და დახურული.

ჩამოთვლილთაგან რომელია ე. წ. ღია დავალებისთვის დამახასიათებელი თავისებურება?

ა) გამორიცხავს შემფასებლის სუბიექტურობას.

ბ) უმთავრესად ამოწმებს სააზროვნო უნარებს.

გ) ყოველთვის მოითხოვს ცალსახა პასუხს.

დ) მის გასწორებას სჭირდება მცირე დრო.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 34**

ჩამოთვლილთგან კოგნიტური დიაგრამების გამოყენების შესახებ გამოთქმული რომელი მსჯელობაა მართებული?

ა) კოგნიტური დიაგრამების გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს თანამშრომლობით უნარებს, შესაბამისად, მათი გამოყენება რეკომენდებულია არა ინდივიდუალური, არამედ ჯგუფური მუშაობის დროს.

ბ) კოგნიტური დიაგრამები გარკვეული წესების ახსნასა და მითითებებს მოითხოვს, შესაბამისად, მათი გამოყენება რეკომენდებულია უფრო საკლასო მუშაობისას, ვიდრე საშინაო დავალების შესრულების დროს.

გ) კოგნიტური დიაგრამები მოითხოვს მოსწავლის მიერ გარკვეული გრაფიკული ველების შევსებას, შესაბამისად, მათი გამოყენება რეკომენდებულია წერითი დავალებების შესრულების დროს.

დ) კოგნიტური დიაგრამები მოსწავლეებს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში ეხმარება, შესაბამისად, მათი გამოყენება რეკომენდებულია ახალი მასალის მიწოდების დროს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 35**

კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა არც თუ ისე იშვიათია მოსწავლეთა შორის. ამის ძირითადი მიზეზია აზრთა, ინტერესთა, ქცევათა შეუთავსებლობა.

მასწავლებლის რომელი აქტივობა/აქტივობები შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** კლასში კონფლიქტური სიტუაციების პრევენციას?

I. გააფრთხილოს მოსწავლეები, რომ სკოლაში მიმდინარეობს იმ ქცევების მონიტორინგი, რომლებიც შინაგანაწესით არის აკრძალული.
II. მასწავლებელმა თავად მისცეს მოსწავლეებს ადამიანების მიმართ პატივისცემისა და თავაზიანობის მაგალითი.
III. დაგეგმოს პროექტები, რომლებიც მოსწავლეებისგან მოითხოვს აქტიურ მუშაობას საერთო მიზნის მისაღწევად.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III;

**დავალება 36**

კეთებით სწავლის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია ექსპერიმენტი, რომელიც მოსწავლეს, ცოდნის შეძენასთან ერთად, უვითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამ მეთოდით სასურველი ეფექტის მისაღწევად მასწავლებელმა გარკვეული პირობები უნდა დაიცვას.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის/პირობების დაცვა არის აუცილებელი ექსპერიმენტის გამოყენების დროს?

I. მასწავლებელმა კლასში ექსპერიმენტის დემონსტრირების დროს დეტალურად უნდა ისაუბროს მისი პრაქტიკული გამოყენების შესახებ ყველა სფეროში.
II. მასწავლებელმა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ უნდა სთხოვოს მოსწავლეებს, გააანალიზონ, რა ისწავლეს ამ ექსპერიმენტით.
III. მასწავლებელმა ექსპერიმენტის დაწყებამდე ნათელი და ზუსტი ინსტრუქციები უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 37**

მასწავლებლები ხშირად გამოიყენებენ ე. წ. „წინადადებების ყუთს“, რომელშიც მოსწავლეებს შეუძლიათ ნებისმიერი მოსაზრების, შეფასების, იდეის მოთავსება.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა, რათა „წინადადებების ყუთი“ მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენოს?

ა) მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ ვინაობა, რათა საჭიროების შემთხვევაში სრულყოფილად განმარტონ და დააზუსტონ საკუთარი იდეა.

ბ) მოსწავლეები უნდა იყვნენ ინფორმირებული ყუთის დანიშნულებისა და ეფექტიანობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამოიყენებენ მას.

გ) მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, ნებისმიერი იდეა მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ, რათა არ დაიკარგოს საინტერესო მოსაზრებები.

დ) მასწავლებელმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ მოსწონს კონკრეტული იდეა, და არ მისცეს მოსწავლეებს განმარტება დანარჩენ იდეებთან დაკავშირებით, რათა მოსწავლეებს არ დაუქვეითდეთ მოტივაცია.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 38**

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ შესრულებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

**მიზანი**: ჰიპერაქტიური მოსწავლის ქცევის მართვა გაკვეთილზე.

**აქტივობა**: მასწავლებელი ჰიპერაქტიური მოსწავლის პრობლემურ ქცევას ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ყოველთვის აქებს, თუკი შედარებით მშვიდად იქცევა.

აღწერილი აქტივობა მიზნის:

ა) **ადეკვატურია,** რადგან შექება აამაღლებს მოსწავლის თვითშეფასებას, იგი უფრო თავდაჯერებული გახდება და მისი სწავლის შედეგებიც გაუმჯობესდება.

ბ) **არ არის ადეკვატური,** რადგან ქცევის დასარეგულირებლად აუცილებელია არა მხოლოდ პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ ქცევაზე კონკრეტული სახის რეაგირება.

*დავალება გრძელდება მომდევნო გვერდზე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

გ) **ადეკვატურია,** რადგან ალტერნატიული ქცევის განმტკიცების შედეგად მოსწავლე სასურველ ქცევას უფრო ხშირად გაიმეორებს, შესაბამისად, შემცირდება არასასურველი ქცევა.

დ) **არ არის ადეკვატური,** რადგან ჰიპერაქტიური მოსწავლის შექება წაახალისებს მისი თანაკლასელების არასასურველ ქცევებს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25

26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 39**

მასწავლებელი მასალას ხსნის ე. წ. „სპირალური კურიკულუმის“ შესაბამისად, მაგრამ ვერ ახერხებს მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობას. კითხვაზე, თუ რატომ არ ინტერესდებიან ახსნილით, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ეს საკითხი უკვე რამდენჯერმე გაიარეს სხვადასხვა კლასში და მათთვის აღარ არის საინტერესო. მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგს.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია უფრო გამოადგება მასწავლებელს აღნიშნულ ვითარებაში ეფექტიანი სწავლებისათვის?

ა) გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება რეალობას კომპეტენტურობის განცდა, რომელიც მოსწავლეებს აქვთ.

ბ) გაართულოს გაკვეთილის მასალა მოსწავლეთა უნარებისა და საბაზისო ცოდნის შესაბამისად.

გ) განუმარტოს მოსწავლეებს სპირალური გეგმის არსი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს.

დ) უარი თქვას სპირალური გეგმის გამოყენებაზე და გადავიდეს ახალ, მიმზიდველ თემაზე.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

დავალება 40

მასწავლებელი დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლის მიმართ ყოველთვის ნაკლებ მოლოდინს ამჟღავნებს.

მასწავლებლის ამგვარი დამოკიდებულება:

ა) **მართებულია,** რადგან ამ შემთხვევაში სწავლება მიმდინარეობს სწორედ მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად.

ბ) **არ არის მართებული,** რადგან მასწავლებლის მოლოდინი ნებისმიერი მოსწავლის მიმართ უნდა შეესაბამებოდეს ესგ-ის მოთხოვნებს.

გ) **მართებულია**, რადგან დადებითი მოლოდინი შედეგს არ მოგვცემს, მოსწავლეს გაუჩნდება წარუმატებლობის შიში.

დ) **არ არის მართებული,** რადგან მოსწავლეს უყალიბდება განცდა, რომ მას უკეთ სწავლა არ შეუძლია.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 41**

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათი სოციალური უნარების განვითარებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაცია/რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის?

I. მასწავლებელმა უნდა დააწესოს დროის ლიმიტი და ამასთან, აკონტროლოს პროცესი, რათა მოსწავლეებმა არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემიდან სხვა საკითხზე.

II. მასწავლებელმა დისკუსიის დროს ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, რომ მათ დამოუკიდებლად, ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ამოწურონ სადისკუსიო თემა.

III. მასწავლებელმა დისკუსიის დასრულებამდე უნდა შეიტანოს შესწორებები მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში და ასე დაეხმაროს მათ სწორი დასკვნის გაკეთებაში.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

ინსტრუქცია

დავალებებს NN42.1, 42.2 და 42.3 უპასუხეთ მოცემული ტექსტის მიხედვით:

N42.1 - დავალება არჩევითპასუხიანია და 1 ქულით ფასდება.

N42.2 და N42.3 - ღია დავალებებია. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა (ტექსტი) და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

*თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 3.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 42

რას ნიშნავს გაგება? როგორ შეიძლება მიხვდეს მასწავლებელი, მიაღწია თუ არა მოსწავლემ გაგების მნიშვნელოვან დონეს? შევადაროთ ერთმანეთს ცოდნა და გააზრება.  ავიღოთ ნიუტონის კანონები - ნიუტონის პირველი კანონის თანახმად, სხეული მიმართულებისა და სიჩქარის შეუცვლელად მანამ მოძრაობს, სანამ მასზე რაიმე ძალა იმოქმედებს. ამას ჩვენ ხშირად ვერც ვამჩნევთ, რადგან ყოველდღიურობაში მრავალი ძალა უცვლის სხეულებს მიმართულებას: ხახუნი სხეულის მოძრაობას გაჩერებამდე ანელებს, გატყორცნილი სხეულები კი მიზიდულობის ძალით დედამიწაზე ბრუნდება. ამ მაგალითებში სულაც არ ჩანს, რომ ზემოქმედების გარეშე სხეული უცვლელი სიჩქარითა და მიმართულებით მოძრაობს.

თუ ჩემი, როგორც მასწავლებლის მიზანია, მოსწავლემ ნიუტონის კანონები იცოდეს, შემიძლია ფორმულების სახით მათი ზეპირად ან წერილობით გადმოცემა მოვთხოვო. მაგრამ როდესაც ჩემი მიზანია, რომ მოსწავლემ ნიუტონის კანონი გაიგოს, მოსწავლეებმა კანონი ზეპირადაც რომ მითხრან, წერილობით ჩამაბარონ ან რამდენიმე ალგებრული ოპერაცია შეასრულონ, დაბეჯითებით მაინც ვერ ვიტყვი, რომ კანონი ესმით. მათ შესაძლოა, დაზეპირებული ოპერაციები შეასრულონ, მაგრამ რეალურად კანონები არ ესმოდეთ და ვერც მათი მნიშვნელობა ახსნან. ამრიგად, ადვილად შემიძლია შევამოწმო, აქვს თუ არა მოსწავლეს გარკვეული ცოდნა, მაგრამ  გაცილებით რთულია იმის დადგენა, სიღრმისეულად გაიგო თუ არა მოსწავლემ საკითხი.

(დევიდ პერკინსი „გონივრული სკოლები“. ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2007წ.)

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 42.1

ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) იმის დასადგენად, საფუძვლიანად გაიგო თუ არა მოსწავლემ საკითხი, აუცილებელია, რომ მასწავლებელმა მას ნასწავლის წერილობით ან ზეპირად გადმოცემა მოსთხოვოს.

ბ) როდესაც მოსწავლე ზედმიწევნით ტექსტთან ახლოს გადმოსცემს საკითხს, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მოსწავლეს აქვს გააზრებული ცოდნა.

გ) იმის დასადგენად, მართლაც ესმის თუ არა მოსწავლეს საკითხი, არ არის საკმარისი ფორმულების ზედმიწევნით ცოდნა და მათი მეშვეობით რამდენიმე ამოცანის ამოხსნა.

დ) მასწავლებელს ადვილად შეუძლია დაადგინოს, გაიგო თუ არა მოსწავლემ საკითხი, თუ მას რამდენიმე ალგებრულ ოპერაციას შეასრულებინებს.

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 42.2**

*მაქსიმალური ქულა - 3*

– მოსწავლის პასუხის მოსმენის დროს რის საფუძველზე ასკვნის მასწავლებელი, სიღრმისეულად გაიგო თუ არა მან საკითხი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

**დავალება 42.3**

*მაქსიმალური ქულა - 3*

– რომელი სტრატეგიის გამოყენებით დაეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს, რომელთაც დაძლეული აქვთ ბლუმის ტაქსონომიის გაგებისა და გამოყენების დონეები, რომ ისინი უფრო მაღალ სააზროვნო საფეხურზე — ანალიზის დონეზე გადავიდნენ?

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

## ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

*თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.*

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

**დავალება 43**

*მაქსიმალური ქულა - 3*

პერკინსის მოსაზრებით, სკოლის მთავარი მიზანია მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი გაგება-გააზრება და აქტიური გამოყენება. პერკინსი ეფექტიანი სწავლებისათვის „პანდორას კითხვების“ გამოყენებას გვთავაზობს.

– გადმოეცით „პანდორას კითხვებიდან“ ერთ-ერთის არსი.
– პერკინსის თეორიაზე დაყრდნობით განმარტეთ, როგორ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ დასახელებული კითხვის გამოყენება ეფექტიან სწავლებას.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44

## დავალება 44

*მაქსიმალური ქულა - 4*

მასწავლებლები სასწავლო პროცესში ხშირად იყენებენ სიმულაციასა და როლურ თამაშებს, როგორც ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან და საინტერესო სტრატეგიას.

- აღწერეთ მასწავლებლის მიერ სიმულაციის/როლური თამაშების გამოყენების ორი დადებითი შედეგი.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

***პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.**

1 2 3 4 5 6 6a 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 20a 21 22 23 24 25
26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 38a 39 40 41 42 42.1 42.2 42.3 43 44